

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს**

**სხდომის ოქმი №4**

ქ. თბილისი

10.10.2013

სხდომას ესწრებოდნენ:

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

**ნინო ჩინჩალაძე** - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

**რევაზ აფხაზავა** - განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ზოგადი განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, უმაღლესი განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ანა ბახტურიძე** - სტუდენტი, საბჭოს მდივანი;

**თინათინ ზურაბიშვილი** - კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - საქართველოს კვლევების დირექტორი;

**ლილი ბიბილაშვილი** - შპს - „HR პროფესიონალთა გილდიას“ პრეზიდენტი;

**დავით კიკალაშვილი** - იურიდიული ფირმა „VBAT“-ის მმართველი პარტნიორი;

**დავით აფრასიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

**კახაბერ ჯაყული** - შპს - „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტიტეტის“ პროფესორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებები:**

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

თამარ ურუშაძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაძა - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი.

**ავტორიზაციის მამიებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებები:**

1. თამარ ვეფხვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. ნოდარ პაპუკაშვილი - შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
3. კახი ყურაშვილი - შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი;
4. მავა კაჭარავა - შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. სერგო ვარდოსანიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატირიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი;
6. თამაზ ვაჩაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატირიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

7. ლელა ბახტაძე - შპს - თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
8. ნათია ქაჯაია - შპს - თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და უზრუნველყოფის მენეჯერი და იურისტი;
9. თამარ გარდაფხაძე - შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
10. დავით კერესელიძე - ა(ა)იპ - ნიუ ვიუენ-უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს (გამგეობის) თავმჯდომარე.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტები):**

მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;  
 თამარ ვეფხვაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;  
 ეკა ლუაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;  
 არჩილ ლორია - ავტორიზაციის ექსპერტი;  
 თეა ნადირაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;  
 მარინა გელევანიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;  
 ელენე გვენცაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;  
 დევი ხვედელიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;  
 ციური დურული - ავტორიზაციის ექსპერტი;  
 თამარ გვიანიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:23 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - ნიუ ვიუენ-უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილლაძემ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ცენტრში შემოსული იყო შპს - თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის წერილობითი შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ითხოვდა, რომ შპს თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი განხილულიყო დღის წესრიგით გათვალისწინებულ ბოლო საკითხად.

ნანა ჭილლაძემ ასევე აღნიშნა, რომ ცენტრში წერილობითი სახით წარმოდგენილი იყო შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის შუამდგომლობა, რომლითაც უნივერსიტეტი ითხოვდა „შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 12 ივლისის №207 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის შემცირებას.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა დამატებით აღნიშნა, რომ ცენტრში წერილობითი სახით წარმოდგენილი იყო სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა რომლითაც ის ითხოვდა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივლისის №92 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის შემცირებას.

საბჭომ ერთხმად გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობები.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. „შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 12 ივლისის №207 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
2. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივლისის №92 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
3. შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატირიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - ნიუ ვიუენ-უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. „შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 12 ივლისის №207 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილლაძემ, საბჭოს სხდომაზე გამოაქვეყნა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 12 ივლისის №207 გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, შპს - ღია სასწავლო უნივერსიტეტს 5 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 2300-ით, ხოლო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვრა 500-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელს შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობა.

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, ნოდარ პაპუკაშვილის, განცხადებით დაწესებულებების სურვილი იყო პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა 500-დან შემცირებულიყო 300-მდე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა იყო ამ ცვლილების მიზეზი.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებების პროფესიულ პროგრამებზე მოთხოვნა ცოტა იყო. ამასთან, მიმდინარე სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცხადებული კონტინგენტი მთლიანად შეივსო. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნათელი იყო, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე უფრო მეტი მოთხოვნა იყო და დაწესებულებას არ სურდა გამოკვეთილი მიმართულებების საწინააღმდეგოდ ემოქმედა.

საბჭოს წევრი, ლილი ბიბილაშვილი, დაინტერესდა, როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებას. ამასთან, აღნიშნა, რომ ბაზარზე მოთხოვნა იყო პროფესიულ პროგრამებზე და პრიორიტეტადაც იყო აღიარებული. აღნიშნულ მიმართულებებს არ ემთხვეოდა დაწესებულების გადაწყვეტილება.

ნოდარ პაპუკაშვილის განცხადებით, სასწავლო უნივერსიტეტს საკმაო კონტაქტები ჰქონდა დამყარებული და დაწესებულებებს ჰქონდათ აღებული ვალდებულება კურსდამთავრებულების დასაქმება. მისი განცხადებით, ამ შემთხვევაში, დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 12 ივლისის №207 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კუნჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

2. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივლისის №92 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილლაძემ საბჭოს სხდომაზე გამოაქვეყნა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივლისის №92 გადაწყვეტილება, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვრა 21713-ით, სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა კი - 1000-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების სურვილი იყო პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა 1000-დან შემცირებულიყო 455 ადგილამდე.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი კახაბერ ჯაყული დაინტერესდა, თუ რა იყო აღნიშნული ცვლილების მიზეზი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ვეფხვაძემ, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მინიჭების დროს დაწესებულება ვარაუდობდა, რომ სრულად აითვისებდა 1000 პროფესიული სტუდენტის ადგილს, თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით უნივერსიტეტში ირიცხებოდა მხოლოდ 150 პროფესიული სტუდენტი. თამარ ვეფხვაძემ დამატებით აღნიშნა, რომ სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნაკლებად არის ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე, რომლისთვისაც დაწესებულება გეგმავს ქ. ქუთაისში არსებული ფართის მაქსიმალურად დატვირთვას.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, თუ რატომ ითხოვდა უნივერსიტეტი პროფესიული სტუდენტის ადგილების რაოდენობას 455-ით განსაზღვრას, მაშინ როდესაც დაწესებულებას ამჟამად ჰყავდა მხოლოდ 150 პროფესიული სტუდენტი. თამარ ვეფხვაძემ განმარტა, რომ 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე უნივერსიტეტი გეგმავდა აკრედიტაციის გავლას, შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში აღნიშნულ 3 პროგრამაზეც მიიღებდნენ პროფესიულ სტუდენტებს.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივლისის №92 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 455-ით.

### **3. შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხრის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა მაია ხურცილავამ რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა კახი ყურაშვილმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობას მომავალ საქმიანობაში უსურვა წარმატებები.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი სტუდენტი ირიცხებოდა შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში. კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში სწავლობდა 496 სტუდენტი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 750-ით განსაზღვრა.

ავტორიზაციის ექსპერტი მაია ხურცილავა დაეთანხმა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შეეძლო 750 სტუდენტისთვის.

საბჭომ იმსჯელა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 750-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის საფუძველზე დამატებით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა მაია ხურცილავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

სხდომის თავმჯდომარებ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაწესებინა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთათვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განსაზღვრულიყო 20 პროფესიული სტუდენტით.

საბჭოს წევრი თინათინ ზურაბიშვილი დაინტერესდა, თუ რატომ სურდა დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განსაზღვრულიყო 20-ით. დაწესებულების წარმომადგენელმა კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებდა მცირე რაოდენობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. შესაბამისად, 20 ადგილი იყო სრულიად საკმარისი.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას 750 სტუდენტისთვის, როდესაც სასწავლო უნივერსიტეტს მფლობელობაში უფიქსირდებოდა 720 მერხი. კახი ყურაშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ფართი 15:00 საათის შემდგომ იყო თავისუფალი, რა დროსაც პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდებოდათ ლექციები.

ავტორიზაციის ექსპერტი მაია ხურცილავა დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 20 პროფესიული სტუდენტისთვის.

სხდომის თავმჯდომარებ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების 20-ით განსაზღვრის საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

#### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56<sup>3</sup>-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს -

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206046045) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. შპს - თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750-ით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 20-ით.

**4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხრის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თამარ ვეფხვაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა მოახსენა ავტორიზაციის ექსპერტებს გაწეული მუშაობისთვის და აღნიშნა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი დაფუძნებული იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ და წარმოადგენდა საერო სასწავლებელს.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2000-ით განსაზღვრა.

ავტორიზაციის ექსპერტი ეკა ლუამვილი დაეთანხმა უნივერსიტეტის პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 2000 სტუდენტისთვის.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაწესებულება ავტორიზაციის ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2000-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56<sup>3</sup>-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი 205233022) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით.

## **5. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხრის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტით მყოფი ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დევი ხვედილიანმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ჰქონდა თუ არა აღნიშნულ დაწესებულებას მეორედ შემოტანილი განაცხადი.

დაწესებულების წარმომადგენელმა თამარ გარდაფხაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ერთხელ უკვე ეთქვა უარი ავტორიზაციაზე, რის შემდეგაც ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, წარმოედგინა შუამდგომლობა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა რაოდენობის 720-ით განსაზღვრა.

ექსპერტმა დევი ხვედელიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 720 სტუდენტის მომსახურება.

საბჭოს წევრი დავით აფრასიძე დაინტერესდა, თუ რამდენი კომპიუტერი ჰქონდა დაწესებულებას.

თამარ გარდაფხაძის განცხადებით, დაწესებულებას ჰქონდა 27 კომპიუტერი და 900 კვ. მ. ფართი.

დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ 900 კვ. მ. ფართისა და 27 კომპიუტერის გათვალისწინებით დაწესებულებისათვის სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობის 720-ით განსაზღვრა შეუძლებელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობით.

თამარ გარდაფხაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ამჟამად ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობდა 6 პირი, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე - 20 პირი. შენობაში განთავსებული იყო 500 სტუდენტისათვის საჭირო მერჩი და სკამი.

საბჭოს წევრმა კახაბერ ჯაყელმა აღნიშნა, რომ ასეთი მწირი ადმინისტრაციული რესურსის, კომპიუტერებისა და მატერიალური ბაზის გათვალისწინებით შეუძლებელი იყო სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობის 720-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობის 400-ით განსაზღვრა. საბჭომ ერთხამდ გაიზიარა წინადადება.

საბჭომ იმსჯელა შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაწესებულება ყველა სტანდარტს აკმაყოფილებდა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

#### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56<sup>3</sup>-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ახალ უმაღლეს სასწავლებელს (საიდენტიფიკაციო კოდი 404916203) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

## 6. ა(ა)იპ - ნიუ ვიუენ-უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხრის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტით მყოფი ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თამარ გვიანიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ავტორიზაციის სამივე სტანდარტს აკმაყოფილებდა . საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაში იყო საქართველოს კანონმდებლობასთან, დაწესებულების მისიასთან და სახელწოდებასთან . მისი განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა ახალი, განსხვავებული ხედვა საგანმანათლებლო პროგრამებისა და ადამიანური რესურსის სტანდარტების მიმართულებით.

თამარ გვიანიშვილმა დასმინა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები იყო თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი და საკმაოდ საინტერესო. მისი განცხადებით, თამამად შეიძლება ჩაითვალოს , რომ ისინი აკრედიტაციის სტანდარტებსაც აკმაყოფილებენ. დაწესებულების მატერიალური რესურსი სრულ შესაბამისობაში იყო ავტორიზაციის სტანდარტებთან, მათ შორის, აღსანიშნავია , რომ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ფონდებთან შესაძლებელია 24-საათიანი წვდომა, ხოლო თავად ბიბლიოთეკა, წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში, მუშაობს ღამის 12 საათამდე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ აკადემიური პერსონალის შესარჩევად გამოცხადებული კონკურსი ჩაატარა კანონმდებლობის დაცვით. აკადემიური პერსონალის რაოდენობა დაახლოებით 50-მდეა , ხოლო უნივერსიტეტს სტუდენტი ჯერ არ ჰყავს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დავით კერესელიძის განცხადებით, ბიბლიოთეკაში დაშვების საკითხი მათთვის პრიორიტეტული იყო. მისი განმარტებით, ჩვეულებრივ, ბიბლიოთეკა ღიაა 9 საათამდე, ხოლო ღამის 12 საათამდე - წინასწარი განაცხადის შემთხვევაში. ამასთან, იგი შაბათ-კვირასაც მუშაობს . დავით კერესელიძის განცხადებით, დაწესებულების მატერიალური რესურსი საკმაოდ მაღალი დონისაა, მასში შედის ა 17 კლინიკა, სადაც განხორციელდება სამედიცინო მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებია. ამასთან, კერესელიძემ განმარტა, რომ აღნიშნული 17 კლინიკა საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაში

იყო, ხოლო ამჟამად, მე-18 კლინიკის მშენებლობა იყო დაგეგმილი. სამედიცინო პროგრამები განხორციელდება დაწესებულების კლინიკურ ბაზაზე.

დავით კერესელიძემ განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამები კომპონენტებად იყო ჩაშლილი. ეს არის მათი ხედვა, თუ როგორი მოდელით უნდა განხორციელებდეს სწავლება. ამასთან, მან საბჭოს წარუდგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა (№456598 – 09.10.2013) ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, წარმოედგინა შუამდგომლობა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა რაოდენობის 1200-ით განსაზღვრა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - ნიუ ვიუენ-უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაწესებულება ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიუენ-უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200-ით განსაზღვრის საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

#### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56<sup>3</sup>-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიუენ-უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404987332) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვროს 1200-ით.

## **7. შპს - თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხრის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა თეა ნადირაძემ და მარინა გედევანიშვილმა, რომლებმაც ისაუბრეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებზე.

### **1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ვიზიტის პირველ დღეს ექსპერტთა მოთხოვნის მიუხედვები დაწესებულების წარმომადგენელს არ წარმოუდგენია საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები, იმ მიზნით, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი დაკავებულია, იგი მოგვიანებით გამოცხადდებოდა და მოიტანდა პროგრამებსა და სილაბუსებს, თუმცა ვიზიტის პირველ დღეს ეს არ მომხდარა. ვიზიტის მეორე დღეს წარმოდგენილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამები, თუმცა სილაბუსების არასრული პაკეტი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფინანსები და საბანკო საქმე“ მოიცავს 61 სასწავლო კურს, რომელთაგან წარმოდგენილ იქნა 48 სილაბუსი. მათი შესწავლით დასტურდება, რომ 16 სილაბუსში სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავებულ იმავე სახელწოდების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსების ანალოგია. კერძოდ, სილაბუსები: „საქართველოს ეკონომიკა“, „PR მენეჯმენტი“, „ფინანსური ეკონომიკა“, „აუდიტის საფუძვლები“, „სადაზღვევო საქმე“, „საერთაშორისო ბიზნესის საფუძვლები“, „საბანკო საქმე“, „მარკეტინგის საფუძვლები“, „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა“, „მენეჯმენტის საფუძვლები“, „ეკონომიკური ანალიზი“, „მაკროეკონომიკა“, „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, მიკროეკონომიკა“, „ფულის მიმოქცევა და კრედიტი“, „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“. ჩამოთვლილ სასწავლო კურსებში განსაზღვრული მიზნები და შედეგები იდენტურია შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის იმავე დასახელების სილაბუსების მიზნებისა და შედეგების, რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის წევრი ქალბატონი მარინა გედევანიშვილის 2011 წლის „საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტში“ პროგრამული აკრედიტაციის ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ გადაცემული მასალებით. აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სილაბუსების ავტორები არიან სხვადასხვა პირები, შესაბამისად შეუძლებელია სხვადასხვა პირის მიერ შემუშავებული სილაბუსის მიზნები და შედეგები იყოს იდენტური.

დაწესებულებამ სილაბუსთა სრულად წარმოდგენა უზრუნველყო ვიზიტის მესამე-ბოლო დღის დასასრულს (18სთ-ზე), შესაბამისად სასწავლო კურსთა სილაბუსების შეფასება

ვიზიტის დასრულებისას შეუძლებელი იყო. ექსპერტების მიერ სილაბუსთა ასლები წამოღებულ იქნა დასკვნის დასრულებამდე მათი შეფასების მიზნით. ამ სილაბუსთაგან 4 სილაბუსში ფიქსირდება ისეთივე პრობლემა, როგორიც ზემოთჩამოთვლილ 16 სილაბუსში (ჯამში - 20 სილაბუსი), კერძოდ სასწავლო კურსების: „ინვესტიციების ორგანიზაცია და მართვა“, „მმართველობითი აღრიცხვა“, „ბუღალტრული აღრიცხვა ზანკში“, „საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სისტემა“ სილაბუსებში განსაზღვრული მიზნები და შედეგები იდენტურია შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის იმავე დასახელების სილაბუსების მიზნებისა და შედეგებისა.

1.2 ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „ფინანსები და საბანკო საქმე“. პროგრამის დაძლევის შედეგად პირს ენიჭება კვალიფიკაცია (აღნიშნულია როგორც პროგრამაში, ასევე თვითშეფასებაშიც) „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი“. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში აღნიშნულია, რომ „პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (ფინანსებში) აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტს, ჰქონდეს საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობების განვითარების ტენდენციების, ფინანსური გლობალიზაციის პროცესების, საერთაშორისო ფინანსური ბაზრების რეგულირების მეთოდების, საერთაშორისო ბიზნეს-ურთიერთობების და რისკების მართვის პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა.....“. ასევე, პროგრამის დასაქმების სფეროს გრაფაში მითითებულია - „კურსდამთავრებულს - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს ფინანსებში“. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის გრაფაში მითითებულია - „კურსდამთავრებულს - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს ფინანსებში“. აღნიშნული ადასტურებს, რომ პროგრამის სტრუქტურა არათანმიმდევრულია - თუ კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაცია, მაშინ პროგრამის თითოეული გრაფა (მიზანი, შედეგები და სხვა) და მასში აღწერილი საკითხები მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან უნდა იყოს ლოგიკურ ბმაში. სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლს 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორზაციის დებულების“ მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან.

1.3 სამაგისტრო პროგრამის გრაფაში „პროგრამის სტრუქტურა“ გაწერილია კრედიტთა რაოდენობა სავალდებული/არჩევით კომპონენტებს შორის - „სავალდებულო სასწავლო კურსები 65 კრედიტი; საწარმოო პრაქტიკა 10 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი 20 კრედიტი; არჩევითი სასწავლო კურსები 25 კრედიტი“. პროგრამის გრაფის - „სასწავლო გეგმა“ ცხრილში სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსთა კრედიტთა ჯამური რაოდენობაც იგივეა მითითებული, თუმცა „სასწავლო გეგმის“ ცხრილში სასწავლო კურსთა ჩამონათვალი კრედიტთა მითითებით ადასტურებს, რომ სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტი 65 ნაცვლად 70-ია. ასევე, პროგრამის გრაფაში „სწავლის შედეგების – კომპეტენციების რუკა“ სავალდებულო კომპონენტად მითითებულია 55 კრედიტი, ხოლო არჩევით სასწავლო კურსებად 55 კრედიტი. აღნიშნულით დასტურდება, რომ პროგრამის გრაფებში კრედიტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ერთმანეთს არ ემთხვევა (ეს შემთხვევა მხოლოდ ერთ გრაფაში რომ ყოფილიყო, ტექნიკურ შეცდომად ჩაითვლებოდა). შესაბამისად, პროგრამა არათანმიმდევრული სტრუქტურისა, რაც ნიშნავს სტანდარტთან შეუსაბამობას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლს 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორზაციის დებულების“ მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან.

1.4 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მოცემულია შემდეგი გრაფები: წინაპირობა; კრედიტები; საათები; ლექცია; აქტივობა - ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული, სემინარული მეცადინეობა; შუალედური გამოცდები; დასკვნითი გამოცდა; სულ საკონტაქტო საათები; დამოუკიდებელი მუშაობის საათები; სასწავლო სემესტრები. სასწავლო გეგმის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების გრაფის - „დასკვნითი გამოცდა“ გასწვრივ მისთვის განკუთვნილი საათების ჩანაწერია - „4/3“, ხოლო სასწავლო გეგმის არჩევითი სასწავლო კურსების იმავე გრაფის გასწვრივ შემდეგნაირი ჩანაწერია „2“. აღნიშნულით დასტურდება, რომ არჩევითი სასწავლო კურსების დასკვნითი გამოცდის მოცულობა 2 საათია, ხოლო სავალდებულო კურსების 4-სთ ან 3-სთ-ია. სილაბუსებით დასტურდება, რომ დასკვნითი გამოცდის მოცულობა 3 საათია, სავარაუდოდ სასწავლო გეგმაში ჩანაწერი „4“ შუალედური შეფასების გამოცდების საათების მოცულობა. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა მკაფიოდ და ზუსტი მონაცემებით ინფორმირება, შესაბამისად ასეთი ტექნიკური შეცდომა პროგრამის არათანმიმდევრულ სტრუქტურაზე მიუთითებს.

1.5 სამაგისტრო პროგრამითა და სასწავლო კურსებით განსაზღვრული შეფასების სისტემა, საათობრივი განაწილება ყველა საგნისთვის ერთგვაროვანია, არ არის გათვალისწინებული სასწავლო კურსის სპეციფიკა და შეფასების ინდივიდუალური მიღება-მეთოდოლოგია.

1.6 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია სასწავლო წლის მოცულობა, რომელიც შეადგებს „38 კვირა, ერთი სემესტრი 19 კვირა, მათ შორის 15 კვირა სასწავლო, დანარჩენი 4 კვირა სასესიო. კურძოდ, მე-16 და მე-17 კვირა დასკვნითი გამოცდის პერიოდი, მე-18 და მე-19 კვირა დამატებით დასკვნითი გამოცდის პერიოდი.“ აღნიშნულიდან დასტურდება, რომ სემესტრში 19 კვირიდან 15 კვირა სასწავლო კვირა, რაც არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის განვითარების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საკრედიტო სისტემის შესაბამისად, სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის (38-45 სასწავლო კვირა) განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500-1800 ასტრონომიულ საათს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25-30 ასტრონომიული საათის განმავლობაში“. ამავე ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს სტუდენტის საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას); „ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; გ) სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკას; დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; ე) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საკურსო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, საპატენტო განაცხადი, სადიპლომო, საბაკალავრო, სამაგისტრო ან დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი, ასევე სადოქტორო დისერტაცია) მუშაობას; ვ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას“. ამავე ბრძანებით, კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიურ მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას და შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე“ (მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი).

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „შ“ პუნქტის თანახმად, „კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ“. თუ რას მოიცავს სასწავლო დატვირთვა ეს ზემოთ არის ჩამოთვლილი, ხოლო „სწავლის შედეგების მიღწევა“ (მე-4 მუხლის პირველი ნაწილი) არის ამავე ბრძანების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასება. შესაბამისად, კრედიტის მოცულობაში შედის სტუდენტის ისეთი დატვირთვა, რომელიც აუცილებელია საშუალო მოსწრების სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევით, რომელიც დასტურდება დასკვნითი გამოცდით.

ამდენად, აკადემიური წელი შედგება სემესტრებისგან ან ტრიმესტრებისგან, რომელიც თავის მხრივ შედგება სასწავლო კვირებისგან. თუ 38 სასწავლო კვირას ორ სემესტრზე თანაბრად გავანაწილებთ, მაშინ თითოეული სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას. სასწავლო კვირათა საერთო რაოდენობაში უნდა მიიღწეოდეს შედეგები შემდეგნაირად – სტუდენტის სასწავლო დატვირთვის შედეგად შუალედურისა და დასკვნითი გამოცდების დაჯამებითა და ერთ-ერთი დადებითი შედეგის მიღების შემთხვევაში. ამდენად, ბრძანებით დადგენილი სასწავლო კვირათა მინიმალური რაოდენობა სემესტრში უნდა შეადგენდეს ცხრამეტ სრულფასოვან სასწავლო კვირას და დასრულდეს დასკვნითი გამოცდით.

რაც შეეხება დამატებით გამოცდას იგი არ შედის კრედიტ-საათების რაოდენობაში, რადგან ის შესაძლებელია არ დასჭირდეს არცერთ სტუდენტს ან დასჭირდეს ზოგიერთ მათგანს. რაკი დამატებითი გამოცდა არ არის კრედიტ-საათების შემაღვნელი ნაწილი - საშუალო მოსწრების სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის გზა, იგი არ წარმოადგენს სასწავლო კვირის დატვირთვას და არის მის ფარგლებს გარეთ. კონკრეტულად, დამატებითი გამოცდის პერიოდს – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-4 მუხლის მე-9 პუქტით განსაზღვრულია შემდეგი – „სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (ტრიმესტრში). დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა“. შესაბამისად, დამატებითი გამოცდა არ შედის სასწავლო კვირების რაოდენობაში, მაგრამ ის უნდა შევიდეს სემესტრის მოცულობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სემესტრის მთლიანი მოცულობა არ უნდა ემთხვეოდეს სასწავლო კვირათა რაოდენობას. სემესტრის ხანგრძლივობაა: მინიმუმ 19 სასწავლო კვირა, დამატებული ათი დღე და მისი გასვლის შემდეგ დადგენილი დამატებითი გამოცდის დროის ჩათვლით.

## 2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

დაწესებულებამ კონკურსი გამოაცხადა პერიოდულ გამოცემა „24 საათში“ და საკუთარ ვებ-გვერდზე. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები გამოქვეყნდა საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე – დაწესებულების რექტორის 2013 წლის 13 ივნისის ბრძანებაში გამოცხადებულია - მიმართულება, განსაზღვრულია საკონკურსო განაცხადის განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე, ვებ-გვერდზე და გაზეთ „24 საათში“; დამტკიცებულია საკონკურსო განაცხადის ფორმა და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, საკონკურსო კომისიისთვის დავალებულია კონკურსის საქმიანობის წარმართვისას შესაბამისი კანონმდებლობის გათვალისწინება, განისაზღვრა საკონკურსო კომისიის მდივნის ვინაობა და მასზე დაკისრებული მოვალეობა.

ამავე ბრძანების დანართით - „საკონკურსო განაცხადი“ – განსაზღვრულია მიმართულება და საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში შემაგალი

სასწავლო კურსების ჩამონათვალი; წარმოსადგენი დოკუმენტაცია; კონკურსის ძირითადი მოთხოვნები; კონკურსის ჩატარების ეტაპები. კონკურსი გაწერილია ორ ეტაპად: პირველი ეტაპია წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და შეფასება; მეორე ეტაპი - პირველ ეტაპზე გასულ კონკურსანტებთან გასაუბრება; საკონკურსო მოთხოვნის შემთხვევაში ამ ორი ეტაპის გავლის შემდეგ კანდიდატს შეიძლება ეთხოვოს საჯარო ლექციის ჩატარება.

#### გამოვლინდა შემდეგი შენიშვნები:

2.1 კონკურსის ჩატარების ბრძანების დანართში განსაზღვრულია „შენიშვნა - ფინანსებისა და საბანკო საქმის საგანმანათლებლო პროგრამების თითოეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს აკადემიური თანამდებობების შემდეგ ვაკანსიებს: სრული პროფესორი (1 ვაკანსია); ასოცირებული პროფესორი (1 ვაკანსია); ასისტენტ პროფესორი (1 ვაკანსია)“; რაც მოწმობს აკადემიური ვაკანსიების გამოცხადებას კონკრეტული სასწავლო კურსების მიხედვით. შესაბამისად თითოეულ კანდიდატს განცხადება უნდა გაეკეთებინა რექტორის ბრძანებაში ჩამოთვლილი სასწავლო კურსის მიხედვით. აქვე, განსაზღვრულია წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელთა მოთხოვნაშია შესახვები აპლიკაციის ფორმა, განაცხადი საკონკურსოს კომისის სახელზე ვაკანსიის მითითებით და სასწავლო კურსის სილაბუსის წარმოდგენა ელექტრონულ ვერსიასთან ერთად. კანდიდატებს განაცხადში არ აქვთ მითითებული, თუ რომელ სასწავლო კურსს ირჩევენ და არც სილაბუსებია წარმოდგენილი;

2.2 დაწესებულებაში არსებულ საკონკურსო მასალებში, კერძოდ, კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტთა ნუსხაში არ არის რექტორის ბრძანებით სავალდებულოდ მოთხოვნილი სილაბუსების ელექტრონული და ბეჭდური ვერსია, მაშინ როდესაც კონკურსის ჩატარების წესის მიხედვით საკონკურსო კომისიის მდივანი ვალდებულია შეამოწმოს და ნაკლოვანი დოკუმენტაცია ხარვეზის აღმოფხვრამდე არ მიიღოს (მე-7 მუხლის მექესვე და მეშვიდე პუნქტი). მიუხედავ ამისა, კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი არასრული დოკუმენტაცია მიღებულ იქნა და გადაეცა საკონკურსო კომისიას განსახილველად;

2.3 საკონკურსო კომისია განიხილავს და აფასებს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას კანდიდატების აკადემიურ თანამდებობასთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით (მე-3 მუხლის პირველი პუნქტი). რექტორის ბრძანების თანახმად, საკონკურსო კომისია პირველ ეტაპზე ახდენს შემოსული დოკუმენტაციის ანალიზს და საკონკურსო კომისია წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. საკონკურსო კომისიის ოქმში გვხვდება ჩანაწერი – კომისიის წევრებმა „იმსჯელეს თითოეული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსის სილაბუსის/სილაბუსების, მათი განცხადებით გათვალისწინებული ვაკანტური თანამდებობის შესაბამისობის თაობაზე.....“; „წარმოდგენილი სასწავლო კურსის სილაბუსის/სილაბუსების შესაბამისად, კონკურსანტები ფლობდნენ სასწავლო კურსის/კურსების განხორციელებისათვის სათანადო კომპეტენციას“. საკონკურსო კომისიის ოქმებში არ არის წარმოდგენილი თითოეული კანდიდატის სილაბუსთა შეფასების შესახებ ინფორმაცია, არ არის მითითებული წარმოდგენილი სილაბუსები რომელი სასწავლო კურსია.

2.4 კონკურსის ჩატარების წესით განსაზღვრულია კონკურსანტის შეფასების ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმები. საკონკურსო მასალებით არ დასტურდება თითოეული კანდიდატი რომელი კრიტერიუმით და რა დონით შეფასდა. ამის შესახებ ჩანაწერი, არც საკონკურსო კომისიის ოქმშია და არც რაიმე სხვა მასალებში. ოქმი მოიცავს

ზოგად ჩანაწერს იმის შესახებ, რომ ყველა კონკურსანტის განაცხადი აკადემიური თანამდებობის დაკავების შესახებ დაკმაყოფილდა.

ექსპერტმა თეა ნადირაძემ აღნიშნა, ექსპერტის სიტყვით, ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსები წარმოდგენილ იქნა, თუმცა ის არ შეინახეს საკონკურსო მასალებში (არც ბეჭდური და არც ელექტრონული ვერსია). აქვე აღსანიშნავია, რომ არ არსებობს საფუმეველი კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განადგურებისა, პირიქით, დაწესებულებას აქვს ვალდებულება კონკურსთან დაკავშირებული ყველანაირი მასალის აღრიცხვის პროცესის გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობისა და კონკურსის ობიექტურად ჩატარების დადასტურების მიზნით. დაწესებულებამ ყველა სახის დოკუმენტაციის შენახვა და მოგვიანებით დაარქივება უნდა უზრუნველყოს.

საკონკურსო დოკუმენტაციით არ დასტურდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესის დაცვა – კონკურსანტთა მიერ შერჩეული სასწავლო კურსისა და მისი შესაბამისი სილაბუსის/სილაბუსების წარმოდგენა (შენიშვნა 2.1). დაწესებულების მდივანმა რექტორს ბრძანებით მასზედ დაკისრებული მოვალეობა არ შეასრულა, რამაც გამოიწვია „აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის“ დარღვევა (შენიშვნა 2.2). რადგან საკონკურსო მასალებით დასტურდება, რომ სილაბუსები არ იყო წარმოდგენილი. მნელია დასაბუთდეს საკონკურსო კომისიის მიერ გაწეული მუშაობა – კანდიდატთა შერჩევა, დოკუმენტაციის შესწავლა–ანალიზი (შენიშვნა 2.3). ასევე, არ დასტურდება თითოეული კანდიდატი რომელ მიმართულებაზე აირჩიეს; მაშინ, როდესაც მიმართულებები და სასწავლო კურსები განსაზღვრული იყო რექტორის ბრძანებით. საკონკურსო კომისია დაწესებულებაში, დადგენილი წესის შესაბამისად, ვალდებული იყო კანდიდატები შეეფასებინა სხვადასხვა კრიტერიუმით, რაც საკონკურსო მასალებით (ოქმებით) არ დასტურდება (შენიშვნა 2.4).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აკადემიური პერსონალის შერჩევისას დაირღვა დაწესებულებაში დადგენილი პირობები. აშკარაა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლს 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-11 მუხლის „ე“ ქვეპუნქტთან.

თავმჯდომარემ მისცა საბჭოს წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ მიმართა კითხვით ექსპერტებს, შეეძლოთ თუ არა მათ სილაბუსების იდენტურობის ოფიციალურად დადასტურება. ექსპერტმათეა ნადირაძემ განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის არქივში უნდა ყოფილიყო შპს - საქართველოს დავით ალმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სილაბუსები და შესაძლებელი იქნებოდა მათი ოფიციალური გადამოწმება.

საბჭოს წევრმა დავით აფრასიძემ მიმართა კითხვით ექსპერტს, რამდენი კვირა მიმდინარეობდა დაწესებულებაში სწავლება. ექსპერტმა თეა ნადირაძემ განაცხადა, რომ ერთი სემესტრი შეადგენდა 19 კვირას, მათ შორის 15 კვირა იყო სასწავლო, დანარჩენი 4 კვირა - სასესიო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ მითითებული იყო მე-16 და მე-17 კვირა დასკვნითი გამოცდის პერიოდად, ხოლო მე-18 და მე-19 კვირა - დამატებითი დასკვნითი გამოცდის პერიოდად.

საბჭოს წევრმა დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ, მისი მოსაზრებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გააწვრთნიშების წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული 19 კვირა არ უნდა ყოფილიყო ხისტად აღქმული; კერძოდ, წელიწადში მინიმუმ 38 სასწავლო კვირის არსებობის მოთხოვნა.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ მიმართა კითხვით ექსპერტს, აკადემიური კონკურსის შედეგად მიღებულ პირთა რაოდენობა იყო თუ არა კონკურსანტთა რაოდენობის იდენტური. ექსპერტ თევა ნადირაძის თქმით, აღნიშნული ვერ დგინდებოდა, ბრძანებაში მითითებული იყო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ჩამონათვალი და კონკურსი ცხადდებოდა თითოეული საგნის მიხედვით, მიმართულების შესაბამისად თითო-თითო სრული, ასოცირებული და ასისტენტ -პროფესორის თანამდებობაზე.

ექსპერტმა მარინა გედევანიშვილმა განცხადებაში ჩამოთვლილი იყო სასწავლო კურსები მიმართულების მიხედვით და ბრძანებით განსაზღვრული იყო, რომ დაწესებულება აიყვანდა ერთ სრულ, ერთ ასოცირებულ და ერთ ასისტენტ-პროფესორს. ყველა პირი, რომლებიც დაწესებულებამ აიყვანა, კონკურსში მონაწილეობდა, მაგრამ საკონკურსო განცხადებაში არ ჩანდა რომელ კანდიდატს, რომელი მიმართულებით შემოჰკონდა განცხადება. შესაბამისად, დარღვეული იყო დაწესებულების მიერვე დადგენილი კონკურსის ჩატარების წესი.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო სილაბუსების იდენტურობის დადასტურება.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს შეახსენა, რომ საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა არა მხოლოდ ექსპერტთა დასკვნაზე დაყრდნობით, არამედ საკუთარი შეფასებით.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ საბჭო ინფორმირებულია საკუთარი გადაწვეტილების საფუძვლების თაობაზე და მიმართა თხოვნით დაწესებულების წარმომადგენელს, რომ მას ესაუბრა ხარვეზებთან დაკავშირებით და მოეყვანა იმ ხარვეზთა გამაბათილებელი არგუმენტები, რომლებსაც არ ეთანხმებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაწესებულების მიერ არ იყო დარღვეული. საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილშიც დაწესებულება სრულად აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნებს. ექსპერტთა დასკვნაში არ ყოფილა ასევე მითითება, საბაკალავრო პროგრამებთან მიმართებით, სტანდარტის რომელიმე ნაწილის დარღვევაზე. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ დასახელებულ იქნა 20 სილაბუსის მიზნებისა და შედეგების იდენტურობასთან დაკავშირებული შენიშვნა, თუმცა, სილაბუსის სხვა ნაწილები რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, შესაბამისად, სილაბუსები ვერ იქნებოდა იდენტური. ამასთან, ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეიძლება აღმოჩენილიყო სხვა ავტორის მიერ შედგენილი სილაბუსი.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, როგორ შეიძლებოდა, რომ ორ სხვადასხვა დაწესებულებაში ყოფილიყო იდენტური სილაბუსები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსების ნაწილი განთავსებული იყო ინტერნეტში, მათზე არსებობდა თავისუფალი წვდომა, შესაბამისად, იგი შეიძლება ვინმეს მოსწონებოდა და ჩაეწერა მასში არსებული ინფორმაცია საკუთარ სილაბუსში.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ თავისუფალი წვდომა არ ნიშნავდა საავტორო უფლებების არარსებობას, შესაბამისად, ის, რასაც დაწესებულების წარმომადგენელი ჩვეულებრივ მოვლენად თვლიდა, პლაგიატი იყო.

საბჭოს წევრმა დავით კიკალეიშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს განცხადა, რომ ექსპერტები მათ არ სდებდნენ ბრალს სილაბუსების მოხარვაში. ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ შეინიშნებოდა პლაგიატი. შესაბამისად, საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, განემარტა საბჭოსათვის და აეხსნა ეს იდენტურობა; მაგალითად, ჰყავდა თუ არა ამ ორ უნივერსიტეტს ერთი და იგივე პროფესურა, იყო თუ არა სილაბუსი თავად მისი ავტორის მიერ შედგენილი და ა.შ. საბჭოს წევრის განცხადებით, თუ ამგვარი ლოგიკური ახსნა არ არსებობდა, მაშინ აშკარაა პლაგიატი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი წინა წლებში გახლდათ შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელი და სილაბუსები მისი შედგენილი იყო. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს ინფორმაცია ექსპერტ მარინა გედევანიშვილსაც ჰქონდა გააჩნდა, რადგან იგი იმყოფებოდა ამ სასწავლებელში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რამდენი სილაბუსი იყო მისი შედგენილი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი იყო 18 სილაბუსის ავტორი, შესაბამისად, სასწავლო კურსის განმახორციელებლად აუდიტორიაში შედიოდნენ სხვა პროფესორები, მაგრამ სილაბუსები მისი შედგენილი იყო.

საბჭოს წევრმა დავით აფრასიერმ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა საკუთარი პოზიცია, რადგან პირველ შემთხვევაში მისი აზრით, იდენტურობა გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ სილაბუსები განთავსებული იყო ინტერნეტში და არსებობდა მათზე თავისუფალი წვდომა; მოცემულ შემთხვევაში კი, წარმომადგენელი აცხადებდა, რომ სილაბუსები მისი შედგენილი იყო.

ექსპერტმა მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ 2011 წელს მონაწილეობდა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტში. აღნიშნული ვიზიტის შედეგად, ექსპერტთა მიერ შედგენილ დასკვნაში დაფიქსირდა, რომ დაწესებულებაში 18 სილაბუსის ავტორად მითითებული იყო ლელა ბახტაძე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სილაბუსი იყო პროფესორის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის ნაყოფი, თავად პროფესორს შეეძლო სილაბუსი სხვადასხვა დაწესებულებაში წარედგინა, მაგრამ სილაბუსის ავტორად სხვადასხვა დაწესებულებაში სხვადასხვა პირი არ უნდა ყოფილიყო მითითებული. ექსპერტის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, სილაბუსების შედეგები და მიზნები ერთმანეთს ემთხვეოდა, მათ შორის, იდენტური გრამატიკული შეცდომების დონეზე. ბუნებრივია, თემატიკა შესაძლებელია ყოფილიყო მსგავსი, შესაძლებელია, ორ სხვადასხვა ადამიანს არჩევანი შეეჩერებინა ერთი და იმავე სახელმძღვანელოზე, მაგრამ ეს ადამიანები ვერ შეძლებდნენ სიტყვა-სიტყვით იდენტური წინადადებების ჩამოყალიბებასა და იდენტური მიზნებისა და სწავლის შედეგების გაწერას. ექსპერტმა მაგალითად მოიყვანა ნოდარ ჭითანავას სილაბუსი, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის სასწავლო კურსს მოიცავდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროსვე განიმარტა, რომ სილაბუსების შემუშავების მიზანი იყო აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილება. მაგალითად, მსოფლიო ეკონომიკის სასწავლო კურსი პროგრამაში საერთოდ არ იყო შეტანილი.

ექსპერტმა მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის დასახელება შეიძლება შეიცვალა, თუმცა, იგი დანამდვილებით მიუთითებდა ავტორზე - ნოდარ ჭითანავაზე, რომლის სილაბუსიდან ერთი ერთზე იყო აღებული მიზნები და შედეგები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნოდარ ჭითანავას სილაბუსი განთავსებული იყო ინტერნეტ ქსელში, შესაბამისად, დაწესებულების პირველი განმარტება, სილაბუსების ინტერნეტში მოძიების თაობაზე, ამ სილაბუსს ეხებოდა.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ნიშნავდა თუ არა ეს განმარტებას იმას, რომ დაწესებულებას ნორმალურად მიაჩნდა, რომ მისმა ლექტორმა სილაბუსი ინტერნეტიდან გადმოიწერა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას არ გააჩნდა არანაირი კონტროლის მექანიზმი, რომლითაც მსგავსი ფაქტის აღმოფხვრას შეძლებდა.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მისთვის გასაგები იყო, თუ დაწესებულებაში დაფიქსირდებოდა მსგავსი ერთი-ორი შემთხვევა, მაგრამ 20 სილაბუსი უკვე აღარ წარმოადგენდა გამონაკლის საერთო წესიდან. ამასთან, რევაზ აფხაზავამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ დასკვნის გაცნობის შემდეგაც დაწესებულებამ ამ ფაქტზე არანაირი რეაგირება არ მოახდინა.

საბჭოს წევრმა დავით კიკალეიშვილმა სთხოვა წარმომადგენელს, დაზუსტება, რომ მისი განმარტებით, 20 სილაბუსიდან რამდენიმეს ავტორი თავად იყო, ხოლო დანარჩენი სილაბუსების მიზნები და შედეგები, ინტერნეტში თავისუფალი წვდომის მეშვეობით გადმოიწერა. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა ზემოაღნიშნული. საბჭოს წევრმა დავით კიკალეიშვილმაგანაცხადა, რომ საბჭო, სხდომის ფორმატში, გადაამოწმებდა ნოდარ ჭითანავას სილაბუსების ნაწილების იდენტურობის ფაქტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსების იდენტურობა არ არღვევდა ავტორიზაციის არც ერთ სტანდარტს; აქ საქმე ეხებოდა საავტორო უფლებებს და არა ავტორიზაციის სტანდარტებს.

საბჭოს წევრმა დავით კიკალეიშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ საბჭო ყოველმხრივ იკვლევდა ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებსაც შემდგომ შეაფასებდა, შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს, საბჭოსათვის ზუსტად მოეხსენებინა ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა შეფასება უკვე საბჭოს პრეროგატივა იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსები მას არ გადმოუწერია, გადმოიწერა ისინი ლექტორმა და მიიტანა დაწესებულებაში. საავტორო ურთიერთობები იყო კერძოსამართლებრივი და საბჭოს მასზე მსჯელობის უფლება არ ჰქონდა. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ-ის სამართლებრივი ფორმის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებობდა კურსზე 20 განმახორციელებელი პირი და 20-ვე ერთი სილაბუსით ასწავლიდა სტუდენტებს.

საბჭოს წევრმა დავით აფრასიძემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ იგი, სულ მცირე, აბსოლუტურად სხვა თემაზე საუბრობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ სილაბუსების მხოლოდ მიზნები და შედეგები იყო იდენტური და არა მთლიანად სილაბუსი.

საბჭოს წევრმა დავით აფრასიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი იმ ფაქტს, რომ სილაბუსების ნაწილის ავტორი გახლდათ თავად ლელა ბახტაძე, ხოლო ნაწილი ინტერნეტიდან იყო გადმოწერილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭო გადავიდა შემდეგი საკითხის განხილვაზე.

ექსპერტმა თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ სილაბუსები სრულად წარმოადგინა ვიზიტის მესამე–ბოლო დღის დასასრულს (18სთ–ზე), შესაბამისად, სასწავლო კურსთა სილაბუსების შეფასება ვიზიტის დასრულებისას შეუძლებელი იყო.

საბჭოს წევრმა დავით კიკალეიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, ამ გარემოების დაფიქსირებით, იგი აქცენტს აკეთებდა პროცედურულ დარღვევაზე, რომელმაც ხელი შეუშალათ ექსპერტებს მუშაობაში, თუ აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ რაიმე გარემოების შეფასება ვერ მოხერხდა.

ექსპერტმა თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ იგი აპელირებდა პროცედურულ დარღვევაზე, რის გამოც ექსპერტებს მოუწიათ სილაბუსთა ასლების წამოღება მათი შეფასების მიზნით და ვიზიტის დასრულების შემდგომ, დამატებითი სამუშაოს გაწევა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ამ დისკონფორტისა, გარემოებები სრულად შეფასებდა . ექსპერტმა აქვე აღნიშნა, რომ ავტორიზაციასთან დაკავშირებული წარმოება იწყება თავად დაწესებულების სურვილით, მის მიერ საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენით, სადაც იგი უთითებს სტანდარტის ყველა ყუნქტის მოთხოვნის არსებობის შესახებ ინფორმაციას. შესაბამისად, ექსპერტთა ვიზიტისათვის დაწესებულება სრულად უნდა იყოს მზად ამ პროცესისათვის, საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები უნდა წარმოადგენდნენ დაწესებულების ადამიანური რესურსის მიერ შექმნილ ინტელექტუალურ ნაშრომებს, რომლებიც შესაბამისი პროცედურული წესების დაცვით უნდა იყოს დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ და არ უნდა გახდეს საჭირო მათი მომება ვიზიტის დროს.

საბჭოს წევრმა დავით აფრასიძემ კითხვით მიმართა ექსპერტს, რა პასუხი ჰქონდა დაწესებულებას ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ სილაბუსების მოთხოვნაზე.

ექსპერტმა თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში აღწერილი იყო ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, ვიზიტის პირველ დღეს, ექსპერტთა მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულების წარმომადგენელს არ წარმოუდგენია საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები იმ მიზეზით, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელს ჰქონდა ლექციები და დაკავებული იყო; ექსპერტებს განემარტათ, რომ იგი მოგვიანებით გამოცხადდებოდა და მოიტანდა პროგრამებსა და სილაბუსებს, თუმცა ვიზიტის პირველ დღეს ეს არ მომხდარა. ვიზიტის მეორე დღეს წარმოდგენილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამები, თუმცა სილაბუსების არასრული პაკეტი იმ მიზეზით, რომ პროგრამის ხელმძღვანელი კვლავ არ იყო ადგილზე და მის გარეშე სილაბუსების სრულ პაკეტს ვერ წარმოადგენდნენმოხდებოდა. უკვე მესამე, ანუ ბოლო დღეს, 18 საათზე დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია სრული სახით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას სურდა კომენტარის გაკეთება ექსპერტის მიერ დაფიქსირებულ 1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით. კერძოდ, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 1.2 შენიშვნის დაფიქსირება განაპირობა იმან, რომ ექსპერტებს ვიზიტის დროს არ უკითხავთ, რატომ იყო ერთმანეთის შეუსაბამო პროგრამა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. ექსპერტებს მსგავსი შეკითხვა ადგილზე რომ დაესვათ, წარმომადგენლის თქმით, იგი მათ წარუდგენდა აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას, რომლითაც ცვლილება შევიდა კვალიფიკაციაში და ეს შენიშვნაც მოიხსენებოდა.

საბჭოს წევრმა დავით კიკალეიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ მათ თავადაც იცოდნენ პროგრამაში მსგავსი ხარვეზის არსებობის ფაქტი და ექსპერტთა ვიზიტამდე აკადემიური საბჭოს მეშვეობით შეცვალეს პროგრამაში

მისანიჭებელი კვალიფიკაცია, რატომ არ მიაწოდეს ეს ცვლილების დოკუმენტი ექსპერტს პროგრამასთან ერთად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს მას არ გახსენებია ამ დოკუმენტის არსებობა. წარმომადგენელმა აქვე აღნიშნა, რომ პროგრამაში არ იყო უცხო ენის მოდული, შესაბამისად, ამ ნაწილში ექსპერტის შენიშვნა სუბიექტური იყო. ასევე, წარმომადგენლის თქმით, იგი ვერ დაეთანხმებოდა ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას, რომ ლექცია არის არა სწავლების ფორმა, არამედ - მეთოდი, რადგან მიაჩნდა, რომ ლექცია/სამუშაო ჯგუფში მუშაობა/სემინარული მეცადინეობა წარმოადგენდა სწავლების ფორმას და არა - მეთოდს.

ექსპერტმა თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ 1.2 შენიშვნა არ გულისხმობდა მხოლოდ იმ ასპექტს, რომელზეც დაწესებულების წარმომადგენელი აპელირებდა, შენიშვნა სულ სხვა შინაარსისა იყო. ამასთან, დაწესებულების მიერვე შევსებულ თვითშეფასებასა და ვიზიტის დროს წარმოდგენილ დოკუმენტებში მითითებული კვალიფიკაცია ერთმანეთს ემთხვეოდა და, შესაბამისად, მანამდე ცვლილების არსებობა მნელად სავარაუდო იყო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგი ვერ გაიზიარებდა დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებას, რომლის თანახმად, დაწესებულებაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტებს, რადგან ექსპერტთა დასკვნაში პირდაპირ იყო მითითებული, თუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლს 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორზაციის დებულების“ რომელ მუხლსა და პუნქტს არღვევდა დაწესებულება. ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროგრამაში განსაზღვრული იყო მიზანი, თუმცა მიზანში არსებული ტექსტი არ შეესაბამებოდა მისანიჭებელ კვალიფიკაციას; ე.გ. პროგრამას არ გააჩნდა თანმიმდევრული სტრუქტურა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტების ვიზიტის დროს, სიჩქარეში დოკუმენტები აირია და დაწესებულების წარმომადგენელმა შეცდომით ამობეჭდა არა მოქმედი პროგრამა, არამედ მისი სამუშაო ვერსია. შესაბამისად, ექსპერტებს შეცდომით მიაწოდეს პროგრამა.

საბჭოს წევრმა დავით კიკალეიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, როგორ დაუშვეს მათ ასეთი შეცდომა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა როგორც მოქმედი ვერსია, ასევე სამუშაო ვერსია და ამობეჭვდის დროს, დაშვებულ იქნა შეცდომა. წარმომადგენლის განმარტებით, ოფიციალური და ბეჭედდარტყმული ვერსიის კოპირების და არა კომპიუტერიდან სამუშაო ვერსიის შეცდომით ამობეჭვდის შემთხვევაში, ასეთი გაუგებრობა არ მოხდებოდა.

ექსპერტმა თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ იგი ვერ დაეთანხმებოდა შეფასების იმ ნაწილს, რომ ხარვეზების არსებობა გამოიწვია სამუშაო ვერსიის შეცდომით ამობეჭვდამ, რადგან სამაგისტრო პროგრამის შეფასების დროს ექსპერტები ხელმძღვანელობდნენ დედნით, რომელზეც დარტყმული იყო ოფიციალური ბეჭედი; ექსპერტმა აღნიშნა, რომ სწორედ ასეთი სახის პროგრამაში დაფიქსირდა ხარვეზები.

ექსპერტმა აქვე განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი იყო ხარვეზი კრედიტებთან მიმართებითაც, რადგან პროგრამა შედგენილი არ იყო ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნა, რომ იგი არ უარყოფდა ამ შენიშვნას, მაგრამ იგი ოფიციალურ დოკუმენტში არ ფიქსირდებოდა და ექსპერტი მას მხოლოდ სამუშაო

ვერსიაში ნახავდა. დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტის მიერ პროგრამის მიზანთან დაკავშირებულ შენიშვნაზე განაცხადა, რომ ექსპერტს არ ჰქონდა უფლება, გაეცა რეკომენდაციები, თუ უმჯობესი როგორ იქნებოდა პროგრამის მიზნის ჩამოყალიბება, რადგან რეკომენდაციის მიცემა მხოლოდ აკრედიტაციის ეტაპზე უნდა მომხდარიყო.

დავით კიკალიშვილმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იყო, ეკითხათ ექსპერტებისთვის, წარმოდგენილი ხარვეზებიდან რომელი იყო არსებითი ხასიათის შენიშვნა, რომელიც აშკარად იწვევდა ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევას.

ექსპერტმა ძარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზი წარმოადგენდა კონკურსის გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ხარვეზი. კონკურსანტებმა არ წარმოადგენეს შრომების სია, რის გამოც ვერ დასტურდებოდა, რომელი პერსონალი რომელი მიმართულებით მიიღეს და რომელი საგნის წასაკითხად. თითოეულ განაცხადში საუბარი იყო მხოლოდ კონკრეტული აკადემიური თანამდებობის დაკავების სურვილზე. შესაბამისად, არც სილაბუსით, არც ნაშრომების აღწერით არ დასტურდებოდა, რომელი პერსონალი რომელი მიმართულებით მიიღეს, რაც აშკარად წარმოადგენდა კონკურსის გამჭვირვალობის პრინციპის დარღვევას.

თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების 3.4 პუნქტით დადგენილი კანონმდებლობის მოთხოვნები იყო დაცული, თუმცა დარღვეული იყო დაწესებულების მიერ დადგენილი მოთხოვნები. რექტორის ბრძანებით განსაზღვრული სილაბუსის წარმოდგენის ვალდებულება, რომლის საფუძველზეც უნდა მიეღო საკონკურსო კომისიას გადაწყვეტილება, არცერთ კონკურსანტს არ შეუსრულება. დაწესებულების მიერ დადგენილი წესები, შესაბამისად, მსგავს შემთხვევაში, საკონკურსო კომისიის მდივანს ხარვეზი უნდა დაედგინა კონკურსანტებისათვის, რაც არ ფიქსირდებოდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქითხეს ამ დოკუმენტაციის არსებობის შესახებ, რომელთაგანაც მოისმინეს განმარტება, რომ თავის დროს ეს სილაბუსები არსებობდა, რომლებიც შემდგომ დაწესებულების მიერ განადგურებული იყო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიის ოქმში საერთოდ არაფერი იყო ნათქვამი, მოცემული იყო მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, მასში არ იყო არანაირი მსჯელობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია ქაჯაიამ აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის არჩევის წესი შეთანხმებული იყო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურთან, რომელმაც შესაბამისი დოკუმენტებიც ნახა. კონკურსის გამოცხადების აქტში ყველა საჭირო დოკუმენტი იყო ასახული, რაც, თავის დროზე, წარმოდგენილიც იყო სრულყოფილად. ნათია ქაჯაიას თქმით, ექსპერტებს რომ მოენდომებინათ, აკადემიური პერსონალის შესახებ ცნობებს იხილავდონ სილაბუსებში. მან აღნიშნა, რომ ექსპერტი მარინა გედევანიშვილი ცრუობდა, როცა ამბობდა, რომ CV-ებში შრომების ჩამონათვალი არ იყო დაფიქსირებული, ნაწილი კი CV-ებში ცალკე იყო დაფიქსირებული.

ნათია ქაჯაიამ განმარტა, რომ სილაბუსები იყო ყველა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი, რექტორის ბრძანების შესაბამისად, რის შემდეგადაც გადამუშავდა სილაბუსები ხარისხის მენეჯერის მიერ გაწეული რეკომენდაციების შესაბამისად და საბოლოო პროგრამა და სილაბუსები იქნა დამტკიცებული, შესაბამისად, აკადემიური პერსონალის საქმეში მველი სილაბუსების არსებობას აზრი აღარ ჰქონდა.

დავით კიკალიშვილმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის საკონკურსო დოკუმენტაციაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაცული ყველა ის მასალა, რომელიც კონკურსანტების მიერ იქნა წარმოდგენილი.

ნათია ქაჯაიამაღნიშნა, რომ ექცერტებს ვიზიტის დროს მსგავსი დოკუმენტაცია არ მოუთხოვიათ, მას ყველა საჭირო მასალა საკუთარ ოთახში ჰქონდა და არა აკადემიური პერსონალის საკონკურსო დოკუმენტაციაში.

დავით აფრასიძე დაინტერესდა, განსხვავდებოდა თუ არა საკონკურსო კომისიის წარდგენილი სილაბუსები საბოლოო სილაბუსებისგან და იყო თუ არა ეს დოკუმენტები შენახული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია ქაჯაიამ აღნიშნა, რომ სილაბუსები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, სილაბუსები კი შენახული იყო მის კაბინეტში.

რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, კონკურსის ოქმში რა ინფორმაცია იყო დაცული.

ნათია ქაჯაიამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ დანართებში იყო შესაბამისი მასალა და სთხოვა საბჭოს წევრებს ყურადღება მიექციათ ამისთვის. ნათია ქაჯაიამ აღნიშნა, რომ ეს ოქმი იურიდიულად ცენტრის თანამშრომლებთანაც იყო შეთანხმებული.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილლაძემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაუზუსტებინა, თუ რას გულისხმობდა ფრაზაში: „ცენტრში ტექსტის გავლა“

ნათია ქაჯაიამ აღნიშნა, რომ საუბარი იყო კონსულტაციაზე მხოლოდ, რაც განხორციელდა კანონით დადგენილი წესით და არა შეთანხმებაზე. მან აღნიშნა, რომ ტერმინი არასწორად გამოიყენა.

ნათია ქაჯაიამ აღნიშნა, რომ სემესტრის კვირებთან დაკავშირებულ შენიშვნას არ იზიარებდა, რადგანაც მსგავსი წესით ხელმძღვანელობდა თითქმის ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მათ შორის ის დაწესებულებები, რომლებშიც მუშაობდნენ ავტორიზაციის ექსპერტები. მაგალითად: მარინა გელევანიშვილი - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და თეა ნადირაძე შპს ქართულ-ევროპული აკადემია.

საჭოს თავმჯდომარემ ნათია ქაჯაიას შეახსენა, რომ ახლა იხილებოდა მისი უნივერსიტეტის საკითხი და არა სხვა უნივერსიტეტების.

თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 22:02 საათზე.

სხდომა განახლდა 22:19 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56<sup>4</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404996518) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:20 საათზე.

თავმჯდომარე  
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი  
ანა ბახტურიძე